

## ფონდის შესახებ

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის მეცნიერული კვლევების განვითარებასა და საქართველოს მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა ინტეგრირებას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.

**ფონდის ძირითადი მიზნებია:** სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესება, ინტერნაციონალიზაცია, ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და მეცნიერების პოპულარიზაცია.

ფონდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ მყოფი ავტონომიური ორგანიზაციაა. ფონდის საქმიანობა მიმართულია მეცნიერების დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, მეცნიერების დაფინანსების ერთიანი სისტემის შექმნისა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებისკენ.

ძირითადი მიზნების განსახორციელებლად ფონდი ადმინისტრირებას უწევს 25 საგრანტო და მიზნობრივ პროგრამას: 18 - ეროვნულ, 4 საერთაშორისო ბილათერალურ პროგრამასა და ევროკავშირის ჩარჩო პროგრამების ფარგლებში 3 მულტი-ლატერალურ პროექტს.

2015 წლის ივლისიდან ფონდს მართავს საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭო, რომელშიც შედიან მსოფლიოში გამოჩენილი უცხოელი და ქართველი მეცნიერები და საქართველოს მთავრობის წევრები. საბჭო პასუხისმგებელია ფონდის სტრატეგიული გეგმის

შემუშავებასა და სამოქმედო გეგმის განხორციელების კონტროლზე.

ფონდის 2015 წლის ბიუჯეტია 27 მლნ. ლარი.

ფონდის სტრუქტურა: 3 დეპარტამენტი და 5 სამსახური, ჰყავს 40 სამტატო და 7 შტატგარეშე თანამშრომელი; ფონდის ადმინისტრირებაზე იხარჯება მთლიანი ბიუჯეტის 4.26%.

ფონდის საკონკურსო პროექტებს აფასებენ საერთაშორისო და ადგილობრივი დამოუკიდებელი ექსპერტები. კვლევითი პროგრამების პროექტების შეფასების მიზნით ფონდი თანამშრომლობს საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევითი სააგენტოებისა და ფონდების ექსპერტებთან.

2015 წლიდან ფონდმა დაწერა ევროსტატის (EUROSTAT) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კლასიფიკატორი და აფინანსებს საგრანტო პროექტებს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში:

1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები.

დამატებით, 2015 წლიდან ფონდმა პრიორიტეტული მიმართულების სახით განსაზღვრა **საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები**, რომლის ფარგლებში გამოიყო პროგრამული წლიური ბიუჯეტის 10%.

## რას ვაფინანსებთ?

- სამეცნიერო - კვლევითი პროექტებს;
- ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას;
- საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებს;
- ერთობლივ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებს;
- სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- მეცნიერების პოპულარიზაციას.

## საერთაშორისო თანამშრომლობა

- ბილატერალური პროგრამები (იტალიის კვლევების ეროვნული საბჭო - CNR, საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი - CNRS, გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრი - JUELICH, უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი - STCU, აშშ-ის სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდი - „CRDF Global“);
- საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტები (ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია - CERN, ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი DUBNA, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი - ISTC, სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული ბაზა - ELSEVIER);
- ევროკავშირის ჩარჩო პროგრამების პროექტები (ევროკავშირის კვლევისა და

- ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამის (FP7) ფარგლებში დაფინანსებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი” - IncoNet EaP, IncoNet EaP + ; ევროკავშირისა და შავი ზღვის რეგიონს შორის მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება Black Sea Horizon ; ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა - H2020);
- ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი2020“-ის (H2020) პროგრამებსა და კონკურსებზე საქართველოს მეცნიერთა კონსულტირება დაიწყო 2015 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროგრამების დეპარტამენტთან;
  - ფონდი 2015 წლის სექტემბრიდან გახდა ევროპის კვლევების საბჭოს (European Research Council/ERC) ეროვნული საკონტაქტო პირი (NCP) H2020-ის ფარგლებში განსახორციელებელი კონკურსებისა და პროგრამებისთვის;
  - 2015 წლიდან ფონდმა დაიწყო ახალ პოტენციურ პარტნიორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებები, დაისახა ბილატერალური თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები იაპონიის (JSPC), თურქეთის (TUBITAK), ესტონეთის (Estonian Research Council) და აშშ-ის (NSF) ეროვნულ სამეცნიერო ფონდებთან;

**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2015 წელს განხორციელებული კონკურსები და პროგრამები**

2015 წელს ფონდმა ადმინისტრირება გაუწია 20 საგრანტო და მიზნობრივ პროგრამას, აქედან 13 - ეროვნულ, 5 საერთაშორისო ბილატერალურ პროგრამასა და ევროკავშირის ჩარჩო პროგრამების ფარგლებში 2 მულტი-ლატერალურ პროექტს.

კონკურსები გამოცხადდა შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში:

- 1. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა:** ფუნდამენტური კვლევები; გამოყენებითი კვლევები; კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით.
- 2. ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა:** ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტები; ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირება უცხოეთში; დოქტორანტების გრანტები; სამაგისტრო კვლევების გრანტები; სეზონური სკოლების გრანტები;
- 3. საერთაშორისო თანამშრომლობა და მობილობა:** სამოგზაურო გრანტები; საკონფერენციო გრანტები;
- 4. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებისა და კვლევების ხელშეწყობა:** საზღვარგარეთ ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის კვლევა;

- უცხოეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობა;
- 5. საერთაშორისო, ერთობლივი თანამშრომლობა:** CERN, DUBNA, JUELICH CENTER, CNR, CNRS, STCU, ISTC, CRDF-Global და ევროკავშირის მულტილატერალური პროგრამები (FP7 IncoNet EaP; Black Sea Horizon).
  - 6. სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება:** სამეცნიერო აპარატურის გრანტები; ELSEVIER BV, Scopus ელექტრონული ჟურნალების ბაზაზე წვდომა სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტებისთვის, ცენტრებისთვის; 2016 წლიდან ELSEVIER-ის ბაზაში 2 ქართული ელექტრონული ჟურნალი განთავსდა - Annals of Agrarian Science და Transactions of Andria Razmadze Mathematical Institute
  - 7. მეცნიერების პოპულარიზაცია:** მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა პროგრამა „ლეონარდო და ვინჩი“; კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით; საერთაშორისო ოლიმპიადებში ქართველ მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა (შერჩევითი ტურებისა და გადამზადების/ტრენინგების აქტივობები) .

## წარმატების ინდექსი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2015 წელს დაფინანსებული კონკურსები	შემოსული პროექტების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტები	წარმატების ხარისხი %
<i>სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამები:</i>			
ფუნდამენტური კვლევები	540	106	19.63
გამოყენებითი კვლევები	213	35	16.43
კვლევები უცხოელ თანამემამულეთა მონაწილეობით	38	12	31.58
<i>ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამები:</i>			
ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტები	101	34	33.66
სამაგისტრო კვლევების გრანტები	58	47	81.03
დოქტორანტების გრანტები	376	85	22.61
ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირება უცხოეთში	30	18	60.00
სეზონური სკოლების გრანტები	13	10	76.92
ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები	194	93	47.94
საკონფერენციო გრანტები	73	9	12.33
<i>საქართველოს შესწავლელი მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობის პროგრამები:</i>			
საზღვარგარეთ ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის კვლევა	43	4	55.81
უცხოეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობა	11	2	18.18
<i>ერთობლივი საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამები:</i>			
JULICH CENTER	3	2	66.67
<i>მეცნიერების პოლულარიზაციის პროგრამები:</i>			
მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“	67	4	5.97
<b>ჯამი</b>	<b>1760</b>	<b>481</b>	<b>27 %</b>


# კონკურსების შედეგები: ფაქტები და რიცხვები სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

## ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია ახალი ცოდნის შექმნა, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლა-ანალიზი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს.


სამიზნე ჯგუფები: უნივერსიტეტები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები, სამეცნიერო ინსტიტუტები და მათში მოღვაწე მეცნიერები.

დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით



- 1. ქართველოლოგიის მეცნიერებები;
- 2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
- 3. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
- 4. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
- 5. მათემატიკური მეცნიერებები;
- 6. ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
- 7. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
- 8. სამედიცინო მეცნიერებები;
- 9. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
- 10. აგრარული მეცნიერებები.


პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით



- 1. ქართველოლოგიის მეცნიერებები;
- 2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
- 3. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
- 4. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
- 5. მათემატიკური მეცნიერებები;
- 6. ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
- 7. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
- 8. სამედიცინო მეცნიერებები;
- 9. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
- 10. აგრარული მეცნიერებები.

- კონკურსის საერთო ბიუჯეტი -13 982 223 ლ.
- 2015წ. დამტკიცებული ბიუჯეტი-5 049 648 ლ.
- ერთი პროექტის მაქს. ბიუჯეტი - 150 000 ლ.
- დარეგისტრირდა - 540 განაცხადი;
- დაფინანსდა - 106 პროექტი, 395 მეცნიერი;
- პროექტების ხანგრძლივობა - 6-36 თვე.


სამეცნიერო ხელმძღვანელთა ასაკობრივი მონაცემები



# სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

## ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი

### დაფინანსებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



### სამეცნიერო ხელმძღვანელთა შორის გენდერული განაწილება




# სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამები


## გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

კონკურსის მიზანია გამოყენებითი მეცნიერებების სფეროში საქართველოში არსებული პოტენციალის გამოვლენა და ინოვაციური სამეცნიერო პროექტების დაფინანსება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური კვლევების გამოვლენას, რომელთა შედეგად მიღებულ მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე მოთხოვნა ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზარზე და პასუხობს ახალი ტექნოლოგიების განვითარების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას. გათვალისწინებულია კვლევის შედეგების გამოყენების რეალურობა და მდგრადობა. ასევე, მომავალში მათი კომერციალიზაციის პოტენციალი. სამიზნე ჯგუფები: უნივერსიტეტები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები, სამეცნიერო ინსტიტუტები და მათში მოღვაწე მეცნიერები.


დაფინანსებული პროექტების ბიუჯეტის განაწილება მიმართულებების მიხედვით





პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით



**გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი**



- კონკურსის საერთო ბიუჯეტი - 5 939 444 ლ.
- 2015წ. დამტკიცებული ბიუჯეტი - 2 996 776 ლ.
- ერთი პროექტის მაქს. ბიუჯეტი - 200 000 ლ.
- დარეგისტრირდა - 213 განაცხადი;
- დაფინანსდა - 35 პროექტი, 161 მეცნიერი;
- პროექტების ხანგრძლივობაა - 12-24 თვე;
- განხორციელების პერიოდი - 28.04.2015-27.04.2017.






# სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამები


უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი

კონკურსის მიზანია უცხოეთის სამეცნიერო - კვლევით ცენტრებში, კვლევით ინსტიტუტებში მოღვაწე წარმატებულ თანამემამულე მეცნიერებთან საქართველოს სამეცნიერო კადრების მჭიდრო, პროფესიული ურთიერთობების დამყარება, მათი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ეროვნულ კვლევით ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება.

დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით





# სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამები

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისთვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი



- კონკურსის საერთო ბიუჯეტი - 1 695 472 ლ.
- 2015წ. დამტკიცებული ბიუჯეტი - 598 909 ლ.
- ერთი პროექტის მაქს. ბიუჯეტი - 150 000 ლ.
- დარეგისტრირდა - 38 განაცხადი;
- დაფინანსდა - 12 პროექტი;
- პროექტების ხანგრძლივობა - 6-36 თვე;
- განხორციელების პერიოდი: 17.04.2015-16.04.2018.




# ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამები

## დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი


კონკურსის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, სახელმწიფოში ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მომზადება, უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება, სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა, დოქტორანტებისა და უნივერსიტეტების უცხოეთში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ამ გზით საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება.

### გრანტის მიმღებთა შორის გენდერული გადანაწილება



- 2015წ. დამტკიცებული ბიუჯეტი - 2 560 886 ლ.
- კონკურსის საერთო ბიუჯეტი - 2 560 886 ლ.
- დარეგისტრირდა - 376 განაცხადი;
- დაფინანსდა - 87 პროექტი;
- პროექტების ხანგრძლივობა - 12-24 თვემდე;
- პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი - 63 000 ლ.

### პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით




1. ქართველოლოგიის მეცნიერებები;
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
3. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
4. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
5. მათემატიკური მეცნიერებები;
6. ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
7. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
8. სამედიცინო მეცნიერებები;
9. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
10. აგრარული მეცნიერებები.

# ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამები


## დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი

პროექტების განაწილება დაფინანსების მიხედვით



- 1. ქართველოლოგიის მეცნიერებები;
- 2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
- 3. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
- 4. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
- 5. მათემატიკური მეცნიერებები;
- 6. ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
- 7. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
- 8. სამედიცინო მეცნიერებები;
- 9. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
- 10. აგრარული მეცნიერებები.

დაფინანსებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




# ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამები


## ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი

კონკურსის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერის გზით კვლევების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა, კვლევითი უნარ-ჩვევებისა და თემატური, ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება, აგრეთვე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და გაუმჯობესება.

დაფინანსებული პროექტები მიმართულებების მიხედვით




სამეცნიერო ხელმძღვანელთა შორის გენდერული განაწილება





- კონკურსის საერთო ბიუჯეტი - 1 825 518 ლარი;
- 2015 წელს დამტკიცებული ბიუჯეტი - 360 000 ლ.
- დარეგისტრირდა - 101 განაცხადი;
- დაფინანსდა - 34 პროექტი;
- პროექტის განხორციელების პერიოდი - 2 წელი;
- პროექტის შესაძლო მაქსიმალური ბიუჯეტი - 60 000 ლ.

სამეცნიერო ხელმძღვანელთა ასაკობრივი მონაცემები



# ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამები



## ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი



# ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამები


ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

კონკურსის მიზნები: ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა დაფინანსების გზით; ახალგაზრდა მეცნიერთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება; ახალგაზრდა მეცნიერთათვის საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების დამყარება და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში პროფესიული გამოცდილების შეძენაში ხელშეწყობა.




# ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამები


ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი



- 2015წ. დამტკიცებული ბიუჯეტი - 360 000 ლ.
- კონკურსის საერთო ბიუჯეტი - 358 447 ლ.
- ერთი პროექტის მას. ბიუჯეტი - 35 000 ლ.
- დარეგისტრირდა - 28 განცხადება;
- დაფინანსდა - 18 პროექტი;
- დაფინანსებულ მეცნიერთა რაოდენობა - 18;
- განხორციელების პერიოდი - მინიმალური - 2 თვე, მაქსიმალური - 6 თვე. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია 7, 8 თვის



მულტიდისციპლინური პროექტები ფარავდა შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:



1. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები
2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
3. ინჟინერია და ტექნოლოგიები
4. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები
5. აგრარული მეცნიერებები
6. სოციალური მეცნიერებები
7. ჰუმანიტარული მეცნიერებები




# ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამები

## მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსი


კონკურსის მიზანია მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდის, აკადემიური დონის ამაღლებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა. ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესების, სწავლის პროცესში კვლევის ინტეგრაციისა და თემატური და/ან ინტერდისციპლინური მიმართულებით კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა.

### დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით



- 1. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები
- 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- 3. ინჟინერია და ტექნოლოგიები
- 4. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები
- 5. აგრარული მეცნიერებები
- 6. სოციალური მეცნიერებები
- 7. ჰუმანიტარული მეცნიერებები


### პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით




- 1. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები
- 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- 3. ინჟინერია და ტექნოლოგიები
- 4. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები
- 5. აგრარული მეცნიერებები
- 6. სოციალური მეცნიერებები
- 7. ჰუმანიტარული მეცნიერებები

- კონკურსის საერთო ბიუჯეტი - 240 000 ლ.
- დარეგისტრირდა - 58 განაცხადი;
- დაფინანსდა - 47 პროექტი;
- პროექტების ხანგრძლივობა - 4-10 თვემდე;
- პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი - 6 000 ლ.

### დაფინანსებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



### გრანტის მიმღებთა შორის გენდერული განაწილება




# ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამები


## სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსი

ახალგაზრდა მეცნიერთათვის და სტუდენტებისთვის სამეცნიერო სეზონური სკოლების/ბანაკების ორგანიზება და არსებულ სეზონურ სკოლათა ფუნქციონირების ხელშეწყობა; ქართული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ახალი კადრების მეცნიერებაში მოზიდვა, ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლება, კვლევის მეთოდებში ტრენინგის, ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის წახალისება; საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება.

მულტიდისციპლინური პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით:




პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




- კონკურსის საერთო ბიუჯეტი - 500 000 ლ.
- ერთი პროექტის მაქს. ბიუჯეტი - 45 000 ლ.
- დარეგისტრირდა - 13 განაცხადი;
- დაფინანსდა - 11 პროექტი;
- განხორციელების პერიოდი - 1.10.2015-31.05.2016.


სამეცნიერო ხელმძღვანელთა შორის გენდერული განაწილება



სამეცნიერო ხელმძღვანელთა ასაკობრივი მონაცემები



დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულების მიხედვით




# საერთაშორისო თანამშრომლობა და მობილობა


## მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

საგრანტო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და დაეხმაროს საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას.

### დაფინანსებულ მეცნიერთა ასაკობრივი მონაცემები



### დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




1. ქართველოლოგიის მეცნიერებები;
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
3. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
4. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
5. მათემატიკური მეცნიერებები;
6. ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
7. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
8. სამედიცინო მეცნიერებები;
9. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
10. აგრარული მეცნიერებები.

საგრანტო კონკურსი განხორციელდა ორ ეტაპად.

- პირველი ნაკადი განხორციელდა 2015 წლის 1 ივლისიდან - 31 ოქტომბრის ჩათვლით;
- მეორე ნაკადი - 2015 წლის 1 ოქტომბრიდან - 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით;
- ორივე ნაკადზე დარეგისტრირდა - 193 განაცხადი;
- დაფინანსდა - 94 მეცნიერი;
- 2015წ. პროექტების საერთო ბიუჯეტი - 310 826 ლარი.

### პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით



1. ქართველოლოგიის მეცნიერებები;
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
3. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
4. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
5. მათემატიკური მეცნიერებები;
6. ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
7. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
8. სამედიცინო მეცნიერებები;
9. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
10. აგრარული მეცნიერებები.




# საერთაშორისო თანამშრომლობა და მობილობა


## საკონფერენციო გრანტების კონკურსი

კონკურსის მიზანია: ხელი შეუწყოს საქართველოში რეგიონული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას; ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას; ქართველ მეცნიერთა შრომების პოპულარიზაციას საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში; მსოფლიო პროცესებში მეცნიერთა ინტეგრირებას.

## დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




## პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით




- 2015წ. დამტკიცებული ბიუჯეტი - 288 343 ლ.
- კონკურსის საერთო ბიუჯეტი - 288 343 ლ.
- დარეგისტრირდა - 73 განაცხადი;
- დაფინანსდა - 9 პროექტი.

## გრანტის მიმღებთა შორის გენდერული განაწილება



## დაფინანსებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით





# დაფინანსებული კონფერენციების დელეგატების გეოგრაფია




# საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებისა და კვლევების ხელშეწყობა


## სახელმწიფო საგრანტო კონკურსი “საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის”

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული მონაცემების მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლას, მათ მოძიებას, აღრიცხვასა და სისტემატიზაციას, ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაციას და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვას ამ სფეროში.

### დაფინანსებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




### პროექტების სამეცნიერო ხელმძღვანელების გენდერული განაწილება



სამიზნე ჯგუფი: საქართველოში რეგისტრირებული სსიპ, ააიპ და უსდ, რომლის დებულება/წესდება ითვალისწინებს კვლევებს, წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის სახით და სამეცნიერო ხელმძღვანელი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები.


- კონკურსში მონაწილე პროექტების რაოდენობა - 43;
- დაფინანსებული პროექტების რაოდენობა - 4;
- დაფინანსებული მეცნიერების რაოდენობა - 24;
- პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი - 300 000 ლ.
- დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 987 771 ლ.
- პროექტის განხორციელების პერიოდი - 15.12.2015-15.12.2018

### პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელების ასკობრივი მონაცემები




## უცხოეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობა

ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის მიზანია საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება და პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე; ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, ქვეყნის ისტორიის, კულტურის, დაშწერლობის, ენისა და ლიტერატურის, არქეოლოგიისა და ხელოვნების, რელიგიის, სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური ტრანსფორმაციის თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება საერთაშორისო აკადემიურ ქსელში; საქართველოსა და რეგიონის შემსწავლელი თანამედროვე კვლევების გამოყენებით თანამშრომლური კონტაქტებისა და კვლევითი კონსორციუმების ჩამოყალიბება, მრავალმხრივი, მდგრადი საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა.



- 2015წ. დამტკიცებული ბიუჯეტი - 2 996 776 ლ.
- კონკურსის საერთო ბიუჯეტი 215 522 ლარი;
- დარეგისტრირდა: 11 განაცხადი;
- დაფინანსდა: 2 პროექტი;
- პროექტების ხანგრძლივობაა 12 თვე;
- პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი 107 761 ლარი.

## დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით



- 5. სოციალური მეცნიერებები
- 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები




# საერთაშორისო, ერთობლივი თანამშრომლობა


შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს(CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია საქართველოს და იტალიელ მეცნიერებსა და კვლევით ცენტრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.


## გრანტის მიმღებთა შორის გენდერული განაწილება



## დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




## პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების



- კონკურსში მონაწილე პროექტების რაოდენობა: 17 ;
- დაფინანსებული პროექტების რაოდენობა: 6;
- დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 36 000 ევრო;
- პროექტის შესაძლო მაქსიმალური ბიუჯეტი: 6 000 ევრო.



## დაფინანსებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



# საერთაშორისო, ერთობლივი თანამშრომლობა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი“ (PICS)

კონკურსის მიზანია ფრანგ და უცხოელ მეცნიერთა ჯგუფებს შორის უკვე არსებული თანამშრომლობის გაღრმავება, ისევე როგორც ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივ კვლევებში აქტიური ჩართვა და ევროპულ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში მათი ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.



წლიური საგრანტო დაფინანსება თითოეულ პროექტზე - 10 000 ევრომდე;

ხანგრძლივობა - არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს;

დარეგისტრირდა - 2 პროექტი, 5 მეცნიერი;

შედეგები ცნობილი იქნება 2016 წლის იანვარში.


# საერთაშორისო, ერთობლივი თანამშრომლობა

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსი


კონკურსის მიზნები - სამეცნიერო პროექტების შერჩევა და დაფინანსება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და უკრაინაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრს (მტცუ) შორის შეთანხმებული შემდეგი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებიდან:

- ა) ბიოტექნოლოგიები და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
- ბ) ახალი მასალები და ნანოტექნოლოგიები;
- გ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

მეორე ეტაპზე გადასული მეცნიერების გენდერული განაწილება




კონკურსში მონაწილე 69 პროექტი მიმართულებების მიხედვით




- სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
- საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
- აგრარული მეცნიერებები
- ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები
- საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები
- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
- სამედიცინო მეცნიერებები

# საერთაშორისო, ერთობლივი თანამშრომლობა

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსი



- პროექტის ბიუჯეტი - 171500 ლ.
- ბიუჯეტის 50%-ის დაფინანსებას უზრუნველყოფს ფონდი, 50%-ს - მტცუ.
- კონკურსში მონაწილე პროექტების რაოდენობა - 69;
- პროექტის განხორციელების პერიოდი - 12, 18 ან 24 თვე;
- საუკეთესო ქულების მქონე 26 პროექტი გაიგზავნა მტცუ-ში მეორე ეტაპზე განსახილველად.



**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გერმანიის იულიხის კვლევით ცენტრთან „ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტებისთვის“**

პროგრამის მიზნები: შესაძლებლობა მისცეს ქართველ მაგისტრანტებს, შეასრულონ თავიანთი სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული კვლევა მსოფლიოში ცნობილი JÜLICH-ის კვლევითი ცენტრის ბაზაზე. ამასთან, პროგრამა ხელს შეუწყობს გერმანულ მხარეს, მიიზიდოს საუკეთესო სტუდენტები საქართველოს უნივერსიტეტებიდან და ჩართოს ისინი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ფონდისა და ცენტრის დაფინანსება ქართველ მაგისტრანტებს შესაძლებლობას მისცემს ცენტრში სტაჟირების ფარგლებში განახორციელონ მათ სადიპლომო ნაშრომების მომზადებასთან დაკავშირებული კვლევები, ასევე დაამყარონ გრძელვადიანი თანამშრომლობა იულიხისა და გერმანიის სხვა სამეცნიერო ცენტრების თუ უნივერსიტეტების მეცნიერებთან შეთანხმებულ კვლევით სფეროებში:

- კონკურსის საერთო ბიუჯეტი - 16 400 ლ.
- დარეგისტრირდა - 2 განაცხადი;
- დაფინანსდა - 2 პროექტი;
- პროექტების ხანგრძლივობა - 8 თვე .

**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გერმანიის იულიხის კვლევით ცენტრთან „დოქტორანტებისთვის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა“**

პროგრამის მიზანია დოქტორანტებისთვის Jülich-ის კვლევითი ცენტრის ბაზაზე სადოქტორო კვლევის ხელშეწყობა. პროგრამა ხელს შეუწყობს გერმანულ მხარეს, მიიზიდოს საუკეთესო სტუდენტები საქართველოს უნივერსიტეტებიდან და აქტიურად ჩართოს ისინი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. დაფინანსებულ დოქტორანტებს საშუალება ექნებათ ითანამშრომლონ იულიხისა და გერმანიის სხვა სამეცნიერო ცენტრების თუ უნივერსიტეტების მეცნიერებთან შემდეგ სფეროებში:

- ა) მათემატიკური მეცნიერებები;
- ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- დ) საინჟინრო მეცნიერებები;
- ე) სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები

- კონკურსის საერთო ბიუჯეტი - 74 200 ლ.
- დარეგისტრირდა - 1 განაცხადი;
- დაფინანსდა - 1 პროექტი;
- პროექტების ხანგრძლივობა - 36 თვემდე.

## ევროკავშირის ჩარჩო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები

ფონდი ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების 18 ორგანიზაციასთან ერთად, მონაწილეობს ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვეობით ჩარჩო პროგრამით (FP7) დაფინანსებულ პროექტში „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი“ - IncoNet EaP .

2015 წელს, IncoNet EaP განრიგის თანახმად, ფონდმა ორგანიზება გაუწია პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებას. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების თანამშრომლობას ევროკავშირთან მეცნიერების, ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციის სფეროებში. საქმიანობა ძირითადად მიმართული იქნება შემდეგ სოციალურ გამოწვევებზე (დარგებზე): ჯანდაცვა, კლიმატის ცვლილებები და ენერგეტიკა. პროექტი დაიწყო 01/09/2013 და დასრულდება 31/08/2016. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი - 2 999 955 ევრო. ფონდისათვის განსაზღვრული თანხის ოდენობა - 103 041 ევრო(აქედან 2015 წლის ბიუჯეტი მოიცავდა 86 174 ლარს).

პროექტის IncoNet EaP ფარგლებში, „ევროკავშირის ქვეყნებში ორგანიზებულ ე.წ. „საშუამავლო ღონისძიებებს“ (brokerage events) და სამეცნიერო კონფერენციებში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობისთვის“ ფონდში დარეგისტრირებული განაცხადები და კონკურსის პირველ ეტაპზე ფონდის საკონკურსო კომისიის მიერ შედგენილი რანჟირებული სია შეფასებებთან ერთად საბოლოო განხილვისთვის გაეგზავნა პროექტის კოორდინატორსა (Centre for Regional and International STI Studies and Support, საბერძნეთი) და პროექტის პარტნიორ ორგანიზაციას Regional Centre for Information and Scientific Development (RCISD, უნგრეთი).

პროექტის პარტნიორი ორგანიზაციის - RCISD გადაწყვეტილებით, შეირჩა ექვსი მონაწილე და დაფინანსდა მათი მონაწილეობა თავად აპლიკანტების მიერ მითითებულ ღონისძიებებში. მათ შორის ერთი მონაწილე მოწონებულია დასაფინანსებლად სხვა, შესაბამის ღონისძიებაში მონაწილეობისთვის.



# საერთაშორისო ერთობლივი თანამშრომლობის პროგრამები:


- ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი კონკურსის მიზანია;
- საგრანტო კონკურსი მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამა;
- საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნულმა ცენტრის (CNRS) პროექტი The International Scientific Cooperation Project - PICS;
- გერმანიის JULICH-ის კვლევით ცენტრთან „ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტებისთვის“;
- გერმანიის JULICH-ის კვლევით ცენტრთან „დოქტორანტებისთვის ერთობლივ კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა“



**საერთაშორისო პროექტების ფონდიდან დაფინანსება დაახლოებით 2'439'800 ლარი**

**სულ ფინანსდება 36 პროექტი**

საერთაშორისო ერთობლივი პროექტების ფარგლებში ჯამში:




# მეცნიერების პოპულარიზაცია


## მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის სტიმულირება-სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება; ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

### მონაწილე პროექტების განაწილება




### კონკურსში მონაწილე პროექტების რაოდენობა ეტაპების მიხედვით




- კონკურსის საერთო ბიუჯეტი - 28 150 ლ.
- მონაწილე სკოლების რაოდენობა - 44;
- დარეგისტრირდა - 67 განაცხადი;
- გრამპრი - მოგზაურობა უცხოეთში;
- საპრიზო ადილები (I, II, III) - 10 000 ლ;
- განხორციელების პერიოდი - 18.09.2015-18.12.2017.

### VII-XII კლასი - 12 წლიდან 18 წლის ჩათვლით მონაწილეთა რაოდენობა



### პროექტში ჩართულ მოსწავლეთა შორის გენდერული განაწილება





# მეცნიერების პოპულარიზაცია

## შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით 2015 წლის საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევი ტურები

საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევი ტურების შედეგების საფუძველზე დაკომპლექტდა საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდები ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებებში. 2015 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებზე საქართველოს ეროვნული ნაკრებები წარდგნენ შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიადებზე: 1) ფიზიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგა ფიზიკის 46-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, IPhO 2015 (ინდოეთი, 4-13 ივლისი), მუმბაი; 2) მათემატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგა მათემატიკის 56-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IMO 2015 (ტაილანტი 4-16 ივლისი), ჩიანგ-მაი; 3) ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგა ინფორმატიკის 27-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IOI 2015 (ყაზახეთი 26 – 2 აგვისტო), ალმატა; 4) ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგა ბიოლოგიის 26-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IBO 2015 (დანია 12-19 ივლისი), აარაჰუსი; 5) ქიმიაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგა ქიმიის 47-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IChO 2015 (აზერბაიჯანი 20-29 ივლისი), ბაქო.

ოთხი ნაკრები გუნდი საუკეთესო შედეგების მქონე 23 მოსწავლისგან დაკომპლექტდა. საერთაშორისო ოლიმპიადების ნაკრები გუნდების შემადგენლობები გაემგზავრნენ საერთაშორისო ოლიმპიადებზე. შედეგად, ნაკრებმა გუნდებმა მიიღეს შემდეგი ჯილდოები:

- მათემატიკის ნაკრები გუნდის 5 წევრმა მოიპოვა 1 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს ჯილდო და 1 საპატიო სიგელი;
- ინფორმატიკის ნაკრები გუნდის ოთხივე წევრი გახდა ბრინჯაოს მედლის მფლობელი;
- ფიზიკის ნაკრები გუნდის სამი წევრი დაჯილდოვდა საპატიო სიგელებით.
- პროექტის საერთო ბიუჯეტი - 219 036 ლარი.

